

## ათონის ლიტერატურული სკოლა. გიორგი და ექვთიმე ათონელები

(სერიისათვის – „გზამკვლევი“)

(2012-2013 წწ.)

### პრობლემის აღწერა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომლებმა 2009-2011 წლებში ახალდაარსებული სერიისათვის „გზამკვლევი“ მოამზადეს ორი სამეცნიერო კრებული: „წმინდა ნინო და „ქართლის მოქცევა“ (დაიბეჭდა 2009 წელს) და „შუშანიკის წამება“ და ადრექრისტიანული კულტურა“ (გადაცემულია დასაბეჭდად). თანამშრომელთა ჯგუფმა გადაწყვიტა 2012-2013 წლებში „გზამკვლევის“ სერიის მესამე წიგნის – „ათონის ლიტერატურული სკოლა. გიორგი და ექვთიმე ათონელები“ – მომზადება. ამ თემას უკავშირდება რიგი საკითხებისა, რომელთა კვლევა ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ყოველ ეტაპზე ინარჩუნებს აქტუალობას: ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერები, საკუთრივ ათონის ლიტერატურული სკოლაში გაშლილი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა, ექვთიმე და გიორგი ათონელების კულტურულ-სალიტერატურო მოღვაწეობა, საკითხთან დაკავშირებული ჰაგიოგრაფიული ტექსტების მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა, სახისმეტყველებითი კვლევა და სხვ.

წიგნში წარმოდგენილი იქნება როგორც წინარე პერიოდის გამოჩენილ მკვლევართა, ისე თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევები, მათ შორის, ამ გამოკვლევათა მეცნიერული შეფასებებიც, ახლებური გააზრება რიგი საკითხებისა.

აღნიშნული პროექტი ორწლიანია. 2012 წლის განმავლობაში განყოფილების თანამშრომლები მოამზადებენ სათანადო სამეცნიერო ნაშრომებს ათონის ლიტერატურულ სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო 2013 წელს დაამუშავებენ ექვთიმე და გიორგი ათონელების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომთა წინასწარი განხილვა მოხდება განყოფილების სხდომებზე.

### პროგრამის მიზანი და ამოცანები.

2013 წლის ბოლოსთვის დასრულდება მუშაობა კრებულზე „ათონის ლიტერატურული სკოლა. გიორგი და ექვთიმე ათონელები“ და იგი მზად იქნება გამოსაცემად. მასში შექმლებისდაგვარად წარმონდობა თანამედროვე თვალსაზრისები აღნიშნულ პრობლემატიკაზე. ეს წიგნი დახმარებას გაუწევს

სპეციალისტებსა და სტუდენტებს, ამასთანავე, იქნება გზამკვლევი საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**პროგრამის განხორციელების გზები** – ათონის ლიტერატურული სკოლისა ზოგადად და, კერძოდ, ექვთიმე და გიორგი ათონელების სახელებთან დაკავშირებული ტექსტების შესწავლა, სამეცნიერო ლიტერატურის ახლებური შეფასება.

#### **შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები.**

შედეგების შეფასება ძირითადად მოხდება ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე.

#### **მოსალოდნელი შედეგები.**

მთლიანობაში იქნება გააზრებული და წარმოდგენილი ათონის ლიტერატურულ სკოლასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რაც ხელს შეუწყობს ათონის, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და სალიტერატურო სკოლის, კვლევას თანამედროვე მეცნიერული აზროვნების კონტექსტში და მის პოპულარიზაციას.

**პროგრამის კოორდინატორია** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დარეჯან მენაბდე.

#### **პროგრამაში მონაწილეობენ:**

ქართული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომლები: გ. კუჭუხიძე, დ. მენაბდე, ს.-ფ. მეტრეველი, ნ. მრეველიშვილი, ე. ჩიკვაიძე.



**40-50-იანი წლების ლიტერატურული პროცესები**  
**(სერიისათვის – „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა“)**

**(2012-2013 წწ.)**

**პრობლემის აღწერა.**

ივ. ჯაფარიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილება 2012-2013 წლებისთვის მოამზადებს კრებულს **"მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების ლიტერატურული პროცესები"**, რომელიც იქნება მეორე წიგნი სერიისა „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა“.

ამ თემას უკავშირდება რიგი საკითხებისა, რომელთა კვლევა ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ყოველ ეტაპზე ინარჩუნებს აქტუალობას: სოციალური პრობლემატიკის დამკვიდრება ქართულ პროზასა და პოეზიაში (ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა), განვითარების გზაზე მდგარი ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტიხალხური ხასიათისა და კოლონიური პოლიტიკის ასახვა ქართველი მწერლების შემოქმედებაში, ქართული თეატრის დაარსება და თეატრის აღორძინებისათვის გაშლილი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობა, გიორგი ერისთავისა და მისი სკოლის კულტურულ-სალიტერატურო მოღვაწეობა, ჟურნალ "ცისკრის" დაარსება, ახალი ლიტერატურული მიმართულებების – რეალიზმის – დამკვიდრებისათვის ბრძოლა და ა.შ.

წიგნში წარმოდგენილი იქნება როგორც წინარე პერიოდის გამოჩენილ მკვლევართა, ისე თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევები, ახლებური გააზრება რიგი საკითხებისა.

აღნიშნული პროექტი ორწლიანია. 2012 წლის განმავლობაში განყოფილების თანამშრომლები მოამზადებენ სათანადო სამეცნიერო ნაშრომებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, ხოლო 2013 წელს დაამუშავენ მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების მწერლების – გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანის, დ. ჭონქაძის, რ. ერისთავის – ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომთა წინასწარი განხილვა მოხდება განყოფილების სხდომებზე.

**პროგრამის მიზანი და ამოცანები.**

2013 წლის ბოლოსთვის დასრულებული იქნება კრებულზე „**მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების ლიტერატურული პროცესები**“ და იგი მზად იქნება გამოსაცემად. მასში შექმნილი დაგეგარად წარმოდგენილი თანამედროვე თვალსაზრისები აღნიშნულ პრობლემატიკაზე. ეს წიგნი დახმარებას გაუწევს

სპეციალისტებსა და სტუდენტებს, ამასთანავე, იქნება გზამკვლევი განხილული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**პროგრამის განხორციელების გზები** – მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების მწერლების ბიოგრაფიული დეტალებისა და შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა (მუშაობა მათ არქივებზე), სამეცნიერო ლიტერატურის ახლებური შეფასება; განსახილველი ეპოქის პერიოდულ გამოცემებში დაცული ლიტერატურული მასალის შესწავლა და ანალიზი; რეალიზმის ჩამოყალიბებისა და მის საწყის ეტაპზე არსებული მასალების გაცნობა და შეჯამება.

**შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები.**

შედეგების შეფასება ძირითადად მოხდება ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე.

**მოსალოდნელი შედეგები.**

მთლიანობაში იქნება გააზრებული და მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების ქართულ მწერლობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რაც ხელს შეუწყობს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის კვლევას თანამედროვე მეცნიერული აზროვნების კონტექსტში და მის პოპულარიზაციას.

**პროგრამის კოორდინატორია** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თამარ შარაბიძე.

**პროგრამაში მონაწილეობენ:**

ქართული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომლები: ა. არაბული, თ. შარაბიძე, ქ. შენგელია, თ. ციციშვილი, თ. ვასაძე.

# XX საუკუნის ქართული მწერლობა (I ნახევარი)

(2012-2014 წ.წ.)

## პროგრამის აღწერა:

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის რამდენჯერმე გამოიცა გასულ საუკუნეში (როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდში), დღემდე არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელიც სრულ წარმოდგენას შექმნიდა XX საუკუნეში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსა და ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაზე, მათ მიერ შემოტანილ ნოვაციებზე. დღევანდელი გადასახედიდან საჭიროა ბევრი დამკვიდრებული მოსაზრების კორექტირება, ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების გამოყენება მათ შესაფასებლად, კულტურულ პროცესებში მათი ადგილისა და როლის სწორი განსაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველი სახელმძღვანელოები გარკვეულწილად ტენდენციურია, რადგან იმ ეპოქაში საკმაოდ ძლიერი იყო საბჭოთა კონიუნქტურა. ამის გამო არასრულყოფილად და ზედაპირულად იყო განხილული ბევრი საკითხი თუ თემა, განსაკუთრებით, მოდერნისტული შემოქმედება.

## პროგრამის მიზანი და ამოცანები:

პროექტის მიზანია ამ ხარვეზის აღმოფხვრა და XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ახალი, კონიუნქტურისაგან თავისუფალი სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც სრულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ლიტერატურული პროცესის განვითარების, სტილისტური სიანხლების, მხატვრული ენის თავისებურებების შესახებ.

## განხორციელების გზები:

სახელმძღვანელო მოიცავს XX საუკუნის I ნახევრის ლიტერატურულ პროცესებს. მასში შევა როგორც 10-20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია, ისე მცირე ლიტერატურული ნარკვევები ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაზე.

პროექტი სამწლიანია. 2012 წლისათვის დაგეგმილია ნარკვევების მომზადება ლიტერატურული დაჯგუფებებისა (ცისფერყანწელები, აკადემიური ასოციაცია, არიფიონი, ქართველ ფუტურისტთა ჯგუფი, პროლეტმწერლები) და ცალკეულ მწერალთა შესახებ.

დავით კლდიაშვილი – შემსრულებელი მაკა ჯონხაძე;

შიო არაგვისპირელი – შემსრულებელი ლალი თიბილაშვილი;

ჭოლა ლომთათიძე – შემსრულებელი მაია ჯალიაშვილი;

ვასილ ბარნოვი – შემსრულებელი ადა ნემსაძე;

ნიკო ლორთქიფანიძე – შემსრულებელი ინგა მილორავა;

მიხეილ ჯავახიშვილი – შემსრულებელი ნონა კუპრეიშვილი;

კონსტანტინე გამსახურდია – შემსრულებელი ზაზა გოგია;

გრიგოლ რობაქიძე – შემსრულებელი მანანა კვატაია;

ალექსანდრე აბაშელი, სიმონ ჩიქოვანი – შემსრულებელი ემზარ კვიციანიშვილი;

ცისფერყანწილები, ლიტერატურული დაჯგუფებები – შემსრულებელი ლალი ავალიანი;

გალაკტიონი – შემსრულებელი თეიმურაზ დოიაშვილი;

ტერენტი გრანელი – შემსრულებელი ზოია ცხადაია;

გერონტი ქიქოძე, კიტა აბაშიძე – შემსრულებელი მანანა შამილიშვილი;

სახელმძღვანელოს გამოცემა დაგეგმილია ორ ნაწილად. I ნაწილი გამოსაცემად მომზადდება 2013 წლის II კვარტალში, როცა დასრულდება მოდერნიზმის ეპოქის მწერალთა შემოქმედების კვლევა. რაც შეეხება II ნაწილს, იგი მომზადდება პროექტის ბოლოს, 2014 წლის დასასრულს.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

სახელმძღვანელო, პირველ რიგში, დაენშარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, ასევე პედაგოგებს და მკითხველთა ფართო წრეს ცალკეული მწერლის მხატვრული სისტემის გააზრებასა და ერთიანი ლიტერატურული პროცესის ანალიზსა და შეფასებაში.

#### **შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი:**

შედეგების შეფასება მოხდება სამეცნიერო კონფერენციებზე, სესიებზე, საინსტიტუტო სემინარებსა თუ ქართული ლიტერატურის განყოფილების სხდომებზე.

#### **პროგრამის კოორდინატორი:**

პროექტის კოორდინატორი და სამეცნიერო ხელმძღვანელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი მანანა კვაჭანტირაძე.

## ძალაუფლების სიმბოლოთა მხატვრული დიაპაზონი

(2012-2014 წწ.)

### პრობლემის აღწერა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის

**2012 წლის** განმავლობაში დამუშავდება შემდეგი თემატიკა:

1. ძალაუფლების სიმბოლოთა არქეტიპები სასულიერო ძეგლებში (არქეტიპის წიაღში შენიღბული ძალაუფლების სიმბოლო ორმაგი მხატვრული ჭრილით (მაგალითად, „ძველი“-ვარსკენი – ხელისუფალი; „დრაკონი“-იმპერატორი და ა.შ.);
2. ძალაუფლების სიმბოლოთა დემონსტრირების მცდელობა საისტორიო პროზაში (შესაბამისი ბიბლიური აღუზიებით, – ანდა ძალაუფლების სიმბოლოთა ხატოვანი თუ ზედმიწევნითი აღწერით);
3. ძალაუფლების სიმბოლოთა მხატვრული სქემა „ვეფხისტყაოსანში“;
4. ძველი ქართული მწერლობა (ზოგადი მიმოხილვა ამ თვალსაზრისიდან...) და ძალაუფლების სიმბოლოთა „ეროვნული ქვეტექსტი“ – ნაწილობრივ პატრიოტული დიდაქტიკით მოწოდებული.

**2013-ში** – იმპერიათა ძალაუფლების სიმბოლოები და XIX ს-ის ქართული მწერლობის „მხატვრული ორიენტაცია“:

1. „კეთილი ხელმწიფის“ (რუსი თუ ქართველი მეფის პორტრეტები) მხატვრული ილუსტრაციები რომანტიკოსებთან – შესატყვისი არქეტიპებითა თუ მეტაფორისტული; „გარეშე ხელისუფლის“ აპოკალიფსური ხედვა;
2. ძალაუფლების სიმბოლოთა „მამხილებელი პათოსით“ მოწოდების ტენდენციები „თერგდალეულებთან“ და ზოგადად, – XIX ს-ის მიწურულს.

**2014-ში** – 1. XX ს. ისტორიული კატაკლიზმები და უახლესი ქართული მწერლობის ბედისწერა;

- ა) ილიას მკვლელობა, როგორც საბედისწერო მინიშნება დამდეგი ტოტალიტარული ეპოქისა;
- ბ) ძალაუფლების სიმბოლოთა წნეხი „ცისფერყანწელებთან“;



გ) „ბოლშევიკური თხზვა“ და ძალაუფლების სიმბოლოთა პათეტიკის ნაკადი ქართულ ლიტერატურაში;

დ) „მოთვინიერებული მწერლობა“ და ძალაუფლების სიმბოლოთა „მოჯადოებული ველი“;

ე) „თავისუფალი მწერლობა“ (თანამედროვე ეპოქის გათვალისწინებით) და ძალაუფლების სიმბოლოთა ერთგვარი მიზიდულობა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში;

2. ძალაუფლების სიმბოლოთა „მსოფლიო ისტორია“ XX ს. ევროპული ლიტერატურული თვალსაწიერიდან: პოზიტიურ და ნეგატიურ სიმბოლოთა თანამონაცვლეობა და გააზრება თანამედროვე მხატვრულ სივრცეში.

ნაშრომთა წინასწარი განხილვა მოხდება ლიტერატურის ინსტიტუტში დისკუსიებისა თუ თემატური სესიების სახით.

### **პროგრამის მიზანი და ამოცანები.**

2014 წლის ბოლოს დასრულდება ამ პროექტზე მუშაობა და მზად იქნება მისი ელექტრონული ვერსია. ფაქტობრივად ეს იქნება ერთგვარი კულტუროლოგიური გზამკვლევი არა მარტო ლიტერატურით, არამედ ისტორიით, ფილოსოფიით თუ პოლიტიკური თემატიკით დაინტერესებული მკითხველისათვის, რომელიც მისთვის სრულიად ახალ ასპექტში დაინახავს ლიტერატურის სარკეში არეკლილ ისტორიული კატაკლიზმების სურათს.

პროგრამის განხორციელების გზები – ძალაუფლების სიმბოლოთა თვალსაწიერიდან გააზრება ქართული მწერლობის მთელი რეტროსპექტივისა, რაც ქართული ლიტერატურის სრულიად ახლებული შეფასების საშუალებას იძლევა, არა მარტო მხატვრული, არამედ ეთიკური თუ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სპექტრით.

### **შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები.**

შეფასება მოხდება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საერთო სხდომებზე, ასევე დისკუსიებისა თუ თემატური სესიების სახით.

### **მოსალოდნელი შედეგები.**

ძალაუფლების სიმბოლოთა ჭრილში გააზრებული მთელი ქართული მწერლობა და ამასთანავე ევროპულ ლიტერატურულ სკოლათა ამ თემატიკის მხატვრული ორიენტაცია ხელს შეუწყობს ჩვენი ლიტერატურამცოდნეობის თუ სიმბოლოლოგიური კვლევების სრულიად სხვა მასშტაბით აღქმას, რომელიც

სცილდება ერთი დისციპლინის ფარგლებს. მეცნიერული კვლევების ამგვარი სინკრეტიზაცია აუცილებელია თანამედროვე ჰუმანიტარული ხედვისათვის.

**პროგრამის კოორდინატორია** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზაზა აბზიანიძე (ფოლკლორის განყოფილება).

**პროგრამაში მონაწილეობენ:**

ფილოლოგიის დოქტორი ქეთევან ელაშვილი (ფოლკლორის განყოფილება), ფილოლოგიის დოქტორი მალხაზ ხარბედია (ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილება), ფილოლოგიის დოქტორი ანა ლეთოდიანი და დოქტორანტი ქეთევან ნინიძე (ქართული ლიტერატურის განყოფილება).

## ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა: თანამედროვე კვლევები

(რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

(2012 წ.)

1. ლიტერატურის თეორია (ნაწილი პირველი)
2. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია (ნაწილი მესამე)
3. კომპარატივისტიკის ანთოლოგია

**პრობლემის აღწერა:** პროექტი ითვალისწინებს ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის დაწერას, „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიისა“ და „კომპარატივისტიკის ანთოლოგიის“ მომზადებას.

პროექტის პირველი ამოცანის თანახმად, მომზადდება „ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელო“, რომელიც აუცილებელი იქნება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. ლიტერატურის თეორიის ენა საერთაშორისო ფილოლოგიის ენაა.

**პროექტის განხორციელების გზები:** მკვლევართა ერთი ჯგუფი პროექტში „ლიტერატურის თეორია და კომპარატივისტიკა“ მოამზადებს ლიტერატურის თეორიის I ნაწილის ტექსტებს.

მკვლევარების მეორე ჯგუფი იმუშავებს ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიულ თარგმანზე, რაც ითვალისწინებს ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული ტექსტების თარგმნას (ინგლისურ-, გერმანულ-, ფრანგულ- თუ რუსულ ენებზე არსებული მასალა), რედაქტირებასა და გამოსაცემად მომზადებას. ეს „ლიტერატურის თეორიის“ ერთგვარი დამატება იქნება.

მკვლევარების მესამე ჯგუფი ჩართული იქნება „კომპარატივისტიკის ანთოლოგიისთვის“ ტექსტების თარგმნით, რედაქტირებით და გამოსაცემად მომზადებით.

პროექტის პირველ ნაწილში მონაწილეობას მიიღებს 9 მეცნიერი, მეორე ნაწილში („ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“) – 7, ხოლო მესამე ნაწილში – 7 მკვლევარი.

**მოსალოდნელი შედეგები:** პროექტი, პირველ რიგში, სტუდენტებისთვის იქნება საგულისხმო. ქრესტომათიისა და ანთოლოგიის წიგნებს უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლებისა და პუმანიტარული დარგის სტუდენტებისთვის, მწერლებისთვის, კრიტიკოსებისთვის, ხელოვანებისთვის, სამეცნიერო წრეების, ცალკეული სამინისტროების და ცალკეულ დაინტერესებულ პირთათვის.

**პროგრამის კოორდინატორი:** გაგა ლომიძე

**ნაწილი პირველი: „ლიტერატურის თეორია“**

პროექტის პირველი ნაწილის უმთავრესი მიზანია საკმაოდ ვრცელი მასალის სისტემატიზება, დამუშავება და იმ ვაკუუმის შევსება, რასაც თანამედროვე მოთხოვნები დღევანდელ ჰუმანიტარებს უყენებს.

რამდენადაც ქართულ სინამდვილეში 1970-იანი წლების შემდეგ არ შექმნილა „ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო, აუცილებელია ამ ხარვეზის გამოსწორება.

როექტის ეს ეტაპი ითვალისწინებს ლიტერატურის თეორიის პირველი ნაწილის დაწერას, ანტიკური ეპოქიდან რენესანსის ეპოქის ჩათვლით.

პროექტის პირველ ნაწილში მონაწილეობას მიიღებს 9 მეცნიერი, მეორე ნაწილში (“ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია”) – 7 მკვლევარი, ხოლო მესამე ნაწილში – 7 მეცნიერი.

მუშაობის შედეგების განხილვა, ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება. მუშაობის პროცესში, განყოფილების და საინსტიტუტო სხდომებზე წაკითხული იქნება მომზადების ეტაპზე არსებული ტექსტები კოლეგების კონსულტაციის და ნაშრომის სრულყოფის მიზნით, დაიბეჭდება სტატიები.

**ნაწილი მეორე:**

**ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია (III ნაწილი)**

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ინსტიტუტში ლიტერატურის თეორიის განყოფილება, არსებული სამეცნიერო რესურსების საშუალებით, ცდილობდა თანამედროვე დასავლური თეორიული ნააზრევების გაცნობას ქართული სტუდენტებისა თუ სამეცნიერო წრეებისთვის. პროექტი “XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათია” აღნიშნულ მიმართულებას აგრძელებს. პროექტის მეორე ნაწილი სახელგანთქმულ დასავლელ მოაზროვნეთა მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნას და ნათარგმნი ტექსტების რედაქტირებას ითვალისწინებდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მომზადდა და გამოიცა ორი წიგნი, რომელთაგან პირველი მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებზე ყველაზე გავლენიანი მოაზროვნეების

მოსაზრებებს და ტექსტებს, “უპანიშადებიდან” ნიცშემდე. ქრესტომათიის მეორე ნაწილში შესულია მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანი ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების თუ მიმართულებების წარმომადგენელთა კონცეპტუალური ტექსტები, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1930-40-იან წლებამდე.

ჩვენს სივრცეში, დასავლელ თეორეტიკოსთა ნააზრევით დაინტერესებულთ დასავლური თეორიული ტექსტების გაცნობა, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ენაზე უწევთ. ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაო ითვალისწინებდა თანამედროვე თეორიული სკოლების ნააზრევის და ამ სკოლების თვალსაჩინო წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ტექსტების თარგმნას ქართულ ენაზე, რაც დასავლური თეორიების ჩვენს კულტურულ სივრცეში ათვისების გარანტი უნდა გახდეს. ეს საქმე, უდავოდ, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თანამედროვე ინტელექტუალი წარმოუდგენელია თეორიული საფუძვლების ცოდნის გარეშე. აღნიშნულ ქრესტომათიაში შესული ტექსტები კი ამ პრობლემის შექცევისდაგვარად მოგვარებას გულისხმობს.

პროექტის მეორე ნაწილის ამოცანაა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ თუ რუსულ ენებზე არსებული ტექსტების ჩამონათვალის შედგენა, მათი მოპოვება და ქართულ ენაზე თარგმნა-რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება.

“ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის” მესამე ნაწილს მოამზადებს ლიტერატურათმცოდნეთა ჯგუფი, რომლებიც ინგლისურ-, გერმანულ-, ფრანგულ-თუ რუსულ ენებზე არსებული მასალას თარგმნიან, გაარედაქტირებენ და გამოსაცემად მოამზადებენ.

ტექსტების მომზადებაში ჩართული იქნება 5 მკვლევარი. მუშაობის შედეგების განხილვა, ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება. მუშაობის პროცესში, განყოფილების სხდომებზე წაკითხული იქნება მომზადების ეტაპზე არსებული ტექსტები კოლეგების კონსულტაციის და ნაშრომის სრულყოფის მიზნით.

## **ნაწილი მესამე: კომპარატივისტიკის ანთოლოგია**

“კომპარატივისტიკის ანთოლოგიის მომზადება” ითვალისწინებს თანამედროვე კომპარატივისტული ლიტერატურის თეორიის წარმომადგენლების ქრესტომათიული ნაშრომების თარგმნას უცხო ენებიდან ქართულად.

აღნიშნული ანთოლოგია იქნება პირველი ამ სფეროში და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს არამარტო ჰუმანიტარული პროფილეს სტუდენტებს, არამედ სპეციალისტებსაც.

“კომპარატივისტიკის ანთოლოგია” გულისხმობს ევროპული ენებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ქრესტომათიული მნიშვნელობის ტექსტების თარგმნას.

პროექტში ჩართული იქნება მკვლევართა 4კაციანი ჯგუფი, რომელიც კომპარატივისტიკის დარგში შექმნილ უცხოენოვან ტექსტებს თარგმნის და ნათარგმნ ტექსტებს გაარედაქტირებს და გამოსაცემად მოამზადებს.

თარგმნილი ტექსტები ანთოლოგიის სახით გამოიცემა და ის მნიშვნელოვნად დაეხმარება ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებს და სპეციალისტებს.

მუშაობის შედეგების განხილვა ერთი წლის განმავლობაში, ყოველ სამ თვეში ერთხელ გაიმართება.

## ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება

(2011-2013წწ.)

### პრობლემის აღწერა

ნიკო ლორთქიფანიძის ყველაზე სრული გამოცემა განხორციელდა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში. ეს იყო სამეცნიერო პრინციპით მომზადებული ოთხტომეული, რომელშიც პუბლიცისტიკა და თარგმანები შერჩევით შედიოდა. 2011 წელს ტექსტოლოგიის სექციამ იმუშავა ბიბლიოგრაფიის შევსებაზე და მოიპოვა 40-მდე ტექსტი, რომელიც უნდა დაემატოს აკადემიურ გამოცემას. შესასწავლია მწერლის არქივი, რის შედეგადაც შეიძლება მოპოვებულ იქნას სხვა დასამატებელი მასალაც.

### მიზანი და ამოცანები

ნიკო ლორთქიფანიძე მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართველი მწერალია. მისი შემოქმედების კვლევისათვის და პოპულარიზაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს თხზულებათა სრული, აკადემიური გამოცემა, შესაბამისი სამეცნიერო აპარატით.

### განხორციელების გზები

1. დამუშავდება მწერლის არქივი.
2. შედგება აკადემიური გამოცემის გეგმა-პროსპექტი.
3. მოძიებულ იქნება ტექსტები და შეიკვრება თითოეული ტომის კორპუსი.
4. გაკეთდება პასპორტები, მომზადდება კომენტარები და შენიშვნები.
5. დაერთდება საძიებლები.

### შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

1. შედგება არქივის აღწერილობა;
2. წარმოდგენილი იქნება ტომების მიხედვით გაწერილი პროსპექტი;
3. სამუშაოდ მომზადდება 5 ტომის ტექსტები;
4. შეივსება სამეცნიერო აპარატი;
5. თითოეულ ტომს ექნება საძიებლები.

### მოსალოდნელი შედეგები

ქართველი მკითხველი მიიღებს ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა სრულ, აკადემიურ გამოცემას. იგი ხელს შეუწყობს მეცნიერთა მიერ ლორთქიფანიძის შემოქმედების უფრო საფუძვლიან შესწავლას.

**პროგრამის კოორდინატორი**

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის ხელმძღვანელი – მაია ნინიძე

**პროგრამის შემსრულებლები:**

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის თანამშრომლები: შარლოტა კვანტალიანი, ჯულიეტა გაბოძე, ნანა ფრუიძე, ნათელა ჩიტაური, ელზა ზარდიაშვილი და მაია არველაძე.



## გალაკტიონოლოგია VI

(2011-2012წწ.)

**პროექტის აღწერა:** ცენტრი დღიდან დაარსებისა მუშაობს სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის „გალაკტიონოლოგია“ მრავალტომეულზე, რომლის პირველი ხუთი წიგნი კომპლექსურად მოიცავს ზოგად და სპეციალურ კვლევებს გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ბიოგრაფიის პრობლემათა შესახებ, პუბლიცისტიკას და საარქივო-მემორიალურ მასალებს.

ვიცავთ რა ქრონოლოგიურ პრინციპს, ახალ – მეექვსე წიგნში მაგისტრალურ პრობლემად აღებულია **გ. ტაბიძის პოსტსიმბოლისტური პერიოდის (1919-1925) პოეტური ძიებანი**. პარალელურად მომზადდება კვლევითი, ლიტერატურული და მემორიალური მასალები სხვა საკითხებზეც.

**პროექტის მიზანი:** კრებულის მაგისტრალურ თემაზე კვლევითი მასალების მომზადება, წიგნის რედაქტირება და გამოცემა.

**განხორციელების გზები:** პროგრამა ორწლიანია. პირველი ეტაპი ითვალისწინებს შესწავლის ობიექტის პარამეტრების დადგენას, მის გენეზისს, ტიპოლოგიისა და პოეტიკის ძირითადი საკითხების მეცნიერულ დამუშავებას (2011 წელი), ხოლო ბოლო, მეორე ეტაპი ძირითადი კორპუსის გაფართოებას გალაკტიონოლოგიური თემატიკის მასალით – ახალი გამოკვლევებით და სტატიებით. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა გალაკტიონოლოგიური ნაშრომების რეცენზირებას.

**მოსალოდნელი შედეგი:** სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოება და დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე მიიღებს ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე დონეზე შესრულებულ კორპუსს გალაკტიონის შემოქმედების უაღრესად მნიშვნელოვან – პოსტსიმბოლისტურ პერიოდზე (1919-1925), რაც სტიმულს მისცემს პოეტის მემკვიდრეობის ახალი თვალთახედვით კვლევას.

**შეფასება და მონიტორინგის მექანიზმი:** შედეგების შეფასება მოხდება გალაკტიონის კვლევითი ცენტრის სხდომებზე, სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე, პრეზენტაციებზე.

**პროექტის კოორდინატორია** გალაკტიონის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თეიმურაზ დლიაშვილი.